# სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

| გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
|---|---|
| ერთი წლისა — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლისა — 3 — | — 2 მ. — |
| სამი თვისა — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. — |

მეოთხე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის-მოწერა მიიღება.

თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში, ხერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи* «**СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ**», *при типографіи Дубелира* (**Г. Церетели и К°**)

№ 10 შაბათი | IV | 30 მაისი, 1871 წ.

შინაარსი.

— ორიოდე სიტყვა რკინის გზაზე გაუფთხილებლობისთვის. — სოფლის მუშაობის კალენდარი. — საჭმლის მნიშვნელობა ხალხის ცხოვრებაზე. — წერილები აბრეშუმის მოყვანაზე. — ფრანცუზული. გლეხების ცხოვრება წარსულს საუკუნეში — ბიბლიოგრაფიული ცნობა: — წერილები კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა.

## ორიოდე სიტყვა რკინის გზაზე გაუფთხილებლობისთვის.

ბეგუთსა და ფოთს შუა ამ ჟამათ რკინის გზის რელსები გაგებულია, ხიდებიც ამ მანძილზე გაკეთებიათ, ისე რომ თურმე მატარებელს (ლოკომოტივს) კიდეც გადააქვს და გადმოაქვს ამ ორ მანძილს შუა სამუშაო მასალები, მუშები და მუშების უფროსები. როგორც მოგეხსენებათ ყოველს ახალს საქმეს და განსაკუთრებით რკინის გზას, სანამ მცხოვრებლები გაიგებდენ იმას ანგარიშს და შეეჩვეოდენ იმის მოწყობილებას დიდი გაფთხილება და თვალ-ყურის ჭერა უნდა, რომ უბედურება არა შეემთხვეს რა.

* * *

კარგათ ვიცით რომ გაქანებულ მატარებელი (ლოკომოტივი) საათში ოც და ათ ვერს მირბის; თუ რომ წარმოვიდგენთ იმის მატარებელს რომელიც უდრის რამდენსამე არ გაგიკვირდება, ათას ფუთს და ვეშაპის მსგავს რკინის მორთულობას, მაშინ რომ იმისმა საკვირველმა მოქმედებამ ჩვენებური უცოდინარი კაცის გონება მაშინ ისე გაამტეროს, რომ პირდაპირ დაუდგეს და დროზე გზა არ უტიოს; თქვენს მტერს, რაც მატარებელმა (ლოკომოტივმა) იმას უყოს: სულ ნაწილ ნაწილათ გაიტანს და დანაყავს გამტერებულს მაყურებელს.

* * *

იმერეთში მართლაც იმერლების გაუფრთხილებლობის გამო ბევრი უბედურება მოუხდენია რკინის მატარებელს. ორი მგზავრი მინავალს ქუთაისიდგან სოფლათ, გზაზე შემოღამებიათ, დაღალულან და ცოტა ძილი მონდომებიათ: ერთს რკინის რელსზე დაუდვია თავი და მეორეს მკლავი, აბა რაიცოდენ, რომ მატარებელი ღამითაც დადის. მართლაც ცოტა ხანს შემდეგ რკინის მატარებელს გამოურბენია, გადუვლია მძინარე მგზავრებზე და ერთისთვის თავი წაუწყვეტია, მეორესთვის მკლავი. უმეცრებას ანუ უსწავლელობას ამ შემთხვევაში ძალიან დიდი უბედურების მიყენება შეუძლია კაცზე. პირველ რომ რკინის გზა გაიმართა კიევსა და მოსკოვს შუა, თურმე რუსის მუჟიკები ჭკვირობდენ უსულო რკინის ყუთს როგორ შეუძლია ამდენი სიმძიმე ქარსავით ჩქარა აიტაცოს, თუ შიგ რამე ეშმაკეულობა არ იყოსო. სწორეთ მქოთავსა და მიშვანავს მანქანაში ეშმაკია ჩამწყვდეული, რომელსაც მიაქვს ამდენი აუარებელი სიმძიმეო. ერთმა იმათგანმა წამოიძახა: მე თქვენ დაგიმტკიცებთ, რომ ეს ასეაო. მართლაც წავიდნენ შინ და რომელსაც რკინის მატარებელი ეშმაკათ მოსჩვენებოდა, იმან გამოიტანა თავის სახლიდგან ღვთის მშობლის ხატი, სხვა გლეხები უკან გაჰყვნენ წავიდნენ სულ ერთად და დადგნენ შუა რკინის გზაზე. ამ დროს შორს დაინახეს, რომ რკინის მატარებელი მოჭროდა. გლეხკაცმა რომ დაინახა, შეჰყვირა ამ ხატის მადლით გიბრძანებ შენ ეშმაკეულო ბოროტო სულო დადეგო. რასაკვირველია რკინის მატარებელზე რომ მემანქანე იდგა იმან შენიშნა და დაუსტვინა, ამით აცნობა გლეხებს ჩამოდექითო. მაგრამ ისინი არც კი გაინძრნენ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ღვთის მშობლის ხატი ეშმაკს ძალას წაართმევდა და გააჩერებდა. რომ აღარ ჩამოეცალენ, მაშინ თვი-

თონ მემანქანემ გააჩერა რკინის მატარებელი, რომ ამდენი გლეხი კაცი არ გაეტანა. მაგრამ როგორც კი რკინის მატარებელი გაჩერდა, გლეხებმა დაიყვირეს: დიდება შენს მადლს ხატო ცხოველო, რომ მაგ ეშმაკეულს მანქანაზე შენი მადლი გამოიჩინეო სწორეთ ხატმა გააჩერა ეგ ეშმაკის ბუდეო».

დამე რომ მომხდარიყო ეს საქმე და მემანქანეს არ დაენახა, ამ გლეხებს სულ ერთიანად გაიტანდა რკინის მატარებელი «დროების» კორრესპონდენტი ქუთაისიდგან შესახებ რკინის გზის გაუფთხილებლობაზე სწერს, რომ კიდრე მთავრობა თავისი ნებართვით დასტურს არ მისცემს ახალ გაკეთებულ რკინის გზით მოგზაურებაზე, მანამდის არავის არ უნდა შეეძლოს მასალებით გადასატან ვაგონებით მოგზაურობაო. მაგრამ რადგან რკინის გზის მკეთებლები და იმის უფროსები მეგობრობისა და ნაცნობობის გამო ხშირად ივიწყებენ ამ წესს, ამისთვის უბედურებაც ბევრი ჰხდება ხოლმე ჯერ კიდევ სრულებით გაუმართავს რკინის გზაზე.

ამის დასამტკიცებლათ იგივე კორრესპონდენტი მოგვითხრობს ერთს უსიამოვნო შემთხვევას, რომელიც ამ ცოტა ხანში მომხდარა ფოთის რკინის გზაზე. რკინის მატარებელი მიმავალა სხვა და სხვა მასალებით დატვირთული, შიგ მსხდარან რამდენიმე მუნებერი მცხოვრებლები. ამ დროს გაქანებული რკინის მატარებელი დატაკებია ერთს ვაგონს, რომელიც რაღაც საუბედუროთ რელსებზე ყოფილა გაჩერებული და იმისი იქ მყოფობა არავის არ სცოდნია.

რკინის მატარებელი გარდავეულა. მემანქანე დამტვრეულა, ერთი მგზავრი მოუკლავს და ერთისთვის ხელი მოუტეხია.

ამისთანა ამბები რკინის გზაზე მალიან ხშირად მოხდება ხოლმე პირველ ტარებაზე, თუ დიდი გაფრთხილებით არ ექცევიან საქმეს. ყველაზე უფრო მომატებული უბედურება ამ შემთხვევაში წილათ ჰხვდება მაინც ჩვენებურს დაბალს ხალხს, რომელიც გაუნათლებლობის გამო და საქმის უცოდნელობის გამო ახირებულათ წაეტანება. ან წაატყდება რკინის მატარებელს. ამისგამო სოფლელებს ვურჩევთ: რკინის რელსებზედ ნურც დადგებიან, ნურც თვითონ გადაივლიან, ნურც საქონელს და ურემს გადაატარებენ; არამც და არამც, რელსების მახლობლათ არ დაიმინონ და სანამ მთავრობის ნებით არ გამოცხადდება მგზავრების ტარება რკინის გზით, მანამდის სოფლელები ნუ ჩასხდებიან ვაგონებში წასასვლელ-წამოსასვლელათ.

## სოფლის მუშაობის კალენდარი.

ჩვენში მთელი წლის მუშაობის სწორათ განაწილება არ შეიძლება, კაცი ისე ვერ მოაგვარებს თავის საქმეს, რომ მიუცილებლათ ამა და ამ დროს ეს საქმე უნდა ვაკეთოვო, იანვარში გავაკეთო ის საქმე; რაც იანვრის თვეს შეეფერება — მარტში მარტის შესაფერი საქმე აპრილში — აპრილისა და სხვა. ამისთანა ბეჯითი განაწილება მუშაობისა უფრო იმისგამოა შეუძლებელი, რომ ჩვენში ამინდი, ანუ ტაროსი რიგს არ მისდევს, ხშირათ იცვლება, შეხვდება ისეთი წელიწადი, როდესაც იანვარში გაზაფხული მოგვაგონდება და აპრილში კი თოვლის ჭყაპს გამოუშვებს. ჩვენში ისე ბეჯითად არ იცვლება ტაროსი როგორც სხვა ქვეყნებშია. მაგალითად წელიწადი იქნება, რომ გაზაფხული ერთი თვით ადრე შემოვა, მაშასადამე ერთი თვით ადრე შეუდგეს სოფლელი მეოჯახე გაზაფხულის მუშაობას. ერთს წელიწადს ზამთარი თოვლიანი და ყინულიანია, მეორე წელიწადს კი თბილი ზამთარი დადგება; პირველს შემთხვევაში ზამთარში მიწის არჩქნა ან მომზადება არ მოხერხდება, მეორე, წელიწადს კი მეოჯახე მთელს ზამთარში ხან მინდორზე მუშაობს, ხან ბაღში, ხან ბოსტანში.

* * *

ამასთანავე ესეც უნდა ვთქვათ, რომ მთიანს ადგილებზე მთელი წლის მუშაობის განაწილება სულ სხვა რიგზე უნდა იყოს, ვინამც დაბლობის ადგილს, რადგან აქ ზაფხულს უფრო ცხელა და ზამთარი უფრო ცივია, გაზაფხული ადრე დადგება და შემოდგომა გვიან თავდება. ასე გასინჯე თვითონ მუშაობა ამის და გვარათ მაღალსა და დაბლობს ადგილს ერთგვარი არ არის. ამისგამო შეიძლება საზოგადოთ ვურჩვენოთ, თუ რა გვარი მუშაობა შეეფერება წლის თითოეულ დროს, ან თითოეულ თვეს, მაგრამ მეოჯახე კი ყოველთვის ტაროსს უნდა უგდებდეს ყურს და იმის დაგვარათ უნდა მუშაობდეს. საზოგადოთ, როდესაც ადრიანი გაზაფხული დადგება, ის სჯობია, რომ მეოჯახე არ აუჩქარდებოდეს იმისთანა მუშაობის გამოწყებას, რომელიც ცუდათ წავა, ვინიცობაა დილის ყინვები რომ დაიწყოს.

* * *

### იანვარი

ახალი წელი რომ დადგება, მეოჯახემ უნდა გასწმინდოს წინა წლის ანგარიში და გამოიყვანოს იმ წლის განმავლობაში რამდენი შემოსავალი ჰქონია. გონიერი მეოჯახე ერთს კაპეიკსაც ისე არ დაჰხარჯავს, რომ თავის დავთარში არ ჩასწეროს. ამავე წიგნში ჩასწერს ყოველს კაპეიკს, რომელიც შემოუვა თავის სამუშაოდგან. გინდ ფული იყოს, გინდ ჭირნახული, ყველას ფასს ადებს და ფულათ ჩასწერს თავის დავთარში. თუ ყოველ გვარ

მუშაობაში მეოჯახე ამ გვარათ იწყებს ანგარიშის გამოყვანას, მაშინ წლის ბოლოს როცა სულ იანგარიშებს, ცხადათ დაინახავს, რომელს სამუშაოს ანუ ოჯახობის ნაწილს რამდენი შემოსავალი მიუცია და აქვე განიზრახავს იმ საოჯახო მუშაობის გადიდებას, რომელიც უფრო მომეტებულს შემოსავალს აძლევს, რომელსაც უფრო ნაკლები სარგებლობა მოაქვს, იმას ან სულ თავის დაანებებს, ან თუ თავის დანებებას არ შეიძლებს, ძალიან შეამცირებს იმის მუშაობას. ეჭვი არ არის მეოჯახე იმას არ იანგარიშებს, რომ ამა და ამ მუშაობიდგან ძალიან ბევრი ფული შემომივიდა, თუ რომ იქვე უწერია რაც შემოსულა, სულ იმასვე მოანდომებია. როდესაც მეოჯახე თითოეულს თავს ნაწარმოებზე შეადგენს ანგარიშს, იმან გასავალში იმ თავნის კანონიერი სარგებელიც უნდა ჩათვალოს, რომელიც დახარჯულა ამ მუშაობაში, რადგან ეს თავნი რომ შეეტანა პრიკაზში, ან ბანკში, ხელის გაუნძრევლათ მიიღებდა კანონით დაწესებულს სარგებელს.

* * *

იანვარში ძალიან ცოტა სამუშაოა ბაღში და ბოსტანში, ასე რომ მუშებს ძალიან ბევრი თავის უფალი დრო რჩებათ, რომელსაც გონიერი მეოჯახე ძალიან კარგათ გამოიყენებს; მაგალითად, სადგომებს შეასწორებინებს, დამველებულს ჭერებს გამოაცვლევინებს, ან დო-შეებს გააკეთებინებს, დაამზადებინებს ზაფხულისთვის უღელს, აგრეთვე სხვა საშენებელს მასალებსაც, მაგალითად გაჯს, კირს, და სხვ.

ჩვენში საფიცრე ხეს უფრო გაზაფხულზე მოსჭრიან ხოლმე, რადგან ამ დროს იმას ადვილათ ეხდება კანი, მაგრამ გაზაფხულზე ხე ძალიან წვნიანია, ამისგამო კარგათ ვერ ხმება. ამასთანავე რადგან წვენით არის გავსილი, შემდეგ ჭია ძალიან ადვილათ დაესევა, რომელნიც ამისთანა ხეში ჰბუდობენ თავისათვის მრავალს საზრდოს. იანვარში საქონლის მუშაობაც კარგათ ეხერხება მეოჯახეს, იმას გადააქვს თავის ოჯახობის ნაწარმოები ბაზარში, შეუძლიან გზები გაასწოროს და სხვ.

* * *

საკუთრათ საოჯახო მუშაობა იანვარში არის: პურის ფქვა მაშინებით, სასუქის გატანა ყანაში, ანუ ბაღში, თესლის მომზადება სათესათ, ძველი სამუშაო იარაღების გამოპირვა და გასწორება, ახალი იარაღების გაკეთება, რუების გასწორება.

* * *

ბაღში მომჭირნე მეოჯახე უვლის ნაზს მცენარეებს, რომელნიც ყინვას ვერ აიტანენ და ამის გამო იმის ნერგებს თავში შეახვევს ამ მცენარის მახლობელს მიწის გარშემოც დაჭყრის ან ბზეს, ან სასუქს. როდესაც დარია, უნდა აკეთოს ორმოები ხეების ჩასარგავათ. თუ მიწა ცუდია, ქვა და ქვიშიანია, ან ზედ არა მოდის რა, მაშინ ორმოების მაგიერათ რუები უნდა გათხარონ და შიგ ჩაჭყარონ სასუქი ნეხვი და ქვები მოაცალონ. მარტო ორმოები რომ ამოთხარო, სასუქით ამოავსო და შიგ ხე ჩარგა, როდესაც ხის ძირები გაიზრდებიან სასუქ იქით ქვეშ მქის მიწაში შევლენ, მაშინ ძალიან ცუდათ დაიწყებს ზრდას. თუ დარია, მშრალსა და ხმელს მიწაში შეიძლება ყოველგვარი ხე დაიდგას, ფისიანს ან კვარიანს ხეებს გარდა ცივსა და ნოტიო მიწაში ხეების დარგვა მარტში და აპრილში სჯობია. როდესაც ამოსთხრიან ორმოებს და რუებს ხეების დასარგავათ, ზემო პირის მიწა ცალკე უნდა დააწყო, და ქვემო პირის მიწა-ცალკე. დარგვის დროს ზემო პირის მიწა ძირს უნდა ჩაჭყარო, რადგან ის უმჯობესია და ქვემო პირის მიწა ზემოთ უნდა მოაქციო. როდესაც ყინვა არ არის, ვაშლისა და მსხლის სუსტს ნერგებს გასხვლენ, აგრეთვე იმ ნერგებსაც, რომელნიც მოღონიერებულნი არიან უფრო მოწიფული ხეების გასხვლას უნდა დააცადო, სანამ მარტი და აპრილი დადგებოდეს. წვიმიანს დღეებში ძველს ხეებს ქერქს შემოაცლიან, რომ გასწმინდონ ისინი ხავსის და სოკოებისგან. იმათ შემოაცლიან აგრეთვე გამხმარს ტოტებს, აგრეთვე ფითრს ძირიანათ ამოსჭრიან. ყველამ იცის, რომ ფითრი მსხლის ხეზე იზრდება და ზამთარშიაც მწვანე ფოთლები ასხია და მწიფე თეთრი მარცვლები აქვს, რომელსაც ჩხართვები და შაშვები დიდის სიამოვნებით კენკავენ, ფითრის ძირები ჩაეფლობიან ხის კანში და სწუწნიან იმის წვენს, რომლისგამო ხეს დონე ერთმევა.

* * *

თუ ვინიცობაა ხე ძირიანათ ამოთხარა მეოჯახემ და იმის გადამუნა უნდა მეორე ალაგას, მაგრამ მალე ვერ დამუნის, მაშინ ის უნდა ცდილობდეს ამ ხის ძირები დიდის ურადღებით მიწით შემოაყაროს, რომ ძირები ზემოთ მიწაზე ამოჩრილნი არ დარჩენ, თორემ სიცივე და უფრო ყინვა დასძრავს; მიწა იფარავს ძირებს ყინვისაგან, ხოლო თბილს და გოლვიანს ამინდში და ჭნობისაგან. როდესაც მეოჯახეს ჰსურს ძვირ ფასი ნერგების გაგზავნა სხვაგან, ფესვები უეჭველათ მიწაში უნდა გაახვიოს და შემდეგ სველი ხავსით უნდა შეუთნოს. სხვა ხეები და ჯაგები თუ სადმე გაიგზავნა, ფესვები წყალში გაქნილს თიხაში უნდა ჩაყონ და შიგ შავი მიწაც უნდა იყოს არეული.

* * *

როდესაც ამინდი გარეთ რაიმე მუშაობის ნებას არ აძლევს მეოჯახეს, მაშინ მებაღემ და ბაღის მუშებმა უნდა ამზადონ სარები და მარგილები, როგორც ახალ ნერგებისთვის, აგრეთვე ვენახების შესაყონებლათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა თბილი ღამეა და არ ყინავს, საზამთრო ალაგს ლასტს ახდიან რომ შიგ ახალმა ჰაერმა იმუშაოს. ღამით ან თოვლიან დღეში როცა ძალიან ყინავს ლასტს გარშემო უნდა შემოაყარონ ბზე, ან გადაავარო ნამჯა. თუ ხმელი და თბილი ამინდია კვირაში ორჯერ უნდა მორწყა ნელთბილი წყლითა, და სიცივეები დაიჭირა, მაშინ უფრო იშვიათად უნდა მორწყა, ამიტომ რომ შეიძლება კიდეც დალპეს ახალი ამოსული მცენარეები. როდესაც თბილ ჰავას დაიჭერს, მაშინ საზამთრო საბოსტნეები ყოველ დღეობით მოირწყვის, ამ საბოსტნეებში თესვენ მარწყვს, ხენდროს სატაცურს, ტარხუნას, კიტრს. (ამას უფრო, ხშირად ქოთნებში სთესვენ), აგრეთვე სთესვენ ნაადრს სალათას, თვის ბოლოკს, ლობიოს, მუხუდოს, წიწმატას, და კამას სხვა და სხვას გვარს კაპუსტას, სტაფილო ქინძს და სხვა: დასასრულს ესეც უნდა ვთქვა, რომ ბოსტნეულში ამზადებენ კიდებს ახალი ნათესისთვის: მყუდრო ალაგებზე სთესვენ ნაადრ მეხუდოს, ლობიოს მამას სოხვს და სხვა.

მეწნის ან ტირიფის წნელები ყურძნის და ხეების მისაკრავათ მოსჭრიან მოზდილ ტოტებს ხეებზე ან ჯაგებზე, რომელიც ადვილათ მრავლდებიან ფესვების გამოღებით, ტოტებს ხუთი ან ექვსი გოჯის მეტს არ მისცემენ, შეკრვენ კონებათ და შუა ტანამდის ჩაავლებენ მიწაში იქ, სადაც არც მზის სიცხე მოხვდება და არც ყინვა ავნებს რასმე, მაგალითად სარდაფში, სანამ მარტი ან აპრილი არ დადგება.

* * *

ამ თვეში მებოსტნე მომეტებულად მუშაობს საზამთრო ალაგში, ან ასწორებს ძველს საზამთრო ადგილს ბოსტნეულის გასაზდელათ, ან აკეთებს ახალს საზამთრო შენობას იმ ალაგას, სადაც უფრო მყუდრო და თბილი ალაგია და გაუკეთებს კედლებს იქითკენ, საითაც არ ჰქრის, რომ ცივი ქარი მუდამ არ ჰხვდებოდეს. საზამთრო შენობისთვის ისეთს ალაგს ამოარჩევენ, რომელსაც ქვეშ წყალი არ უდგია. ამ შენობისთვის ამოსთხრიან ორ არშინ სიგანე ორმოს, ხუთ ექვს არშინ სიგრძეს და ორ არშინ სიღრმეს. საზამთრო შენობას იმას ეძახიან, სადაც ზამთრობით ბოსტნეულობას თესვენ და შიგ დამდგარ სითბოს გამო ყოველ გვარი ბოსტნეულობა გაიხარებს. სითბოს გასაჩენად საზამთრო ალაგებზე დაჰყრიან ნეხვს, რომელიც ცოტას ხანს შემდეგ დაათბობს იმ ალაგს. თუ ახალ ცხენის ნეხვში ხის ფუჩეჩში შეურევ და საზამთრო ალაგას დაჰყრი, ეს კიდევ უფრო ბევრს სითბოს გააჩენს. თუმცა მარტო ცხენის ნეხვისგან რომ სითბო დადგება, ფუჩეჩ-არეულს ნეხვში იმდენი არ არის, მაგრამ იქ სითბო უფრო არ იკარგება და დიდ ხანს გასტანს. საზამთრო ალაგზე დაყრამდის, ახალი ნეხვი რამდენიმე დღე უნდა იყოს ერთ ალაგას სანამდის კარგათ აიფუვდებოდეს. შემდეგ საზამთრო ალაგში ორმოებს ამოავსებენ ამ ნეხვით და ზედ დადგმენ დიდ ლასტს რომელსაც ზემოთი კედელი ორი მელით აქვს გაკეთებული და ქვემოთი ერთი მელით. ამ ლასტს ჩარჩოები აქვს დატანებული, რომელშიაც ჩასმენ მინებს. ორი სამი დღის განმავლობაში ამ საზამთრო ალაგში ჰაერი ძალიან გახურდება და თუ ლასტი ცოტა ზევით არ აიწია, ნეხვი სულ დაიწვის. ხუთი-ექვსი დღის შემდეგ ნეხვი დაჯდება და ზედ მოაყრება კარგი საბოსტნე შავი მიწა, და მერე ზედ თესვენ ანუ რგვენ მცენარეებს.

---

# საჭმლის მნიშვნელობა ხალხის ცხოვრებაზე

## VI

როგორც იყო ნათქვამი, ყოველი საჭმელი უნდა იყოს შემდგარი სამნაირი ნივთიერებისაგან: ა რ ა ო რ გ ა ნ ი უ ლ, ქონის და სისხლის მკეთებელი ნივთიერებისაგან. მაგრამ ძალიან მცირეთაა ისეთი საჭმელი, რომელშიაც იმყოფებოდეს სამივე ეს ნივთიერებები ერთს საჭმელში მხოლოდ სისხლის მკეთებელია, მეორეში მარტოკა ქონის და მესამეში ორივე ერთად და აკლია კიდევ გვარი ნივთიერებები. ამისგამო, ცხადია, რომ ეს საჭმელები ცალ ცალკე ვერ არჩენენ სხეულს, ისეთი უნდა აერიონ ერთმანეთში, რომ შეამსონ ერთმანეთი თავიანთ ნაწილებით.

ასეთი სრული საჭმელი, როგორც არეული, რომელშიაც იმყოფებოდეს ყოველი გვარი სისხლისათვის საჭირო ნივთიერებები ძალიან ძნელად იპოებიან ბუნებაში მზათ.

მხოლოდ კვერცხს და რძეს შეუძლიან შედარება ამ შემთხვევაში არეულ საჭმელთან. მეცნიერების გამოანგარიშებით გამოდგა, რომ 54 გრამი ($21\frac{21}{32}$ გირვანქა) კვერცხის ცილში და გულში არის $\frac{1}{2}$ გრ. არა ორგანიული ნაწილები, 38 გრ. წყალი, $5\frac{1}{2}$ გრ. ქონის და $5\frac{1}{2}$. სისხლის მკეთებელი ნაწილები. აქედამ ცხადათ სჩანს, რომ სამივე სისხლისათვის საჭირო ნივთიერებები იმყოფებიან კვერცხში.

ამასგარდა შეიძლება კიდევ უფრო ნათლად დამტკიცდეს კვერცხის სიკეთე.

ყველამ ვიცით, რომ კვერცხისაგან იბადება სულიერი, წიწილი, რომელსაც აქვს ხორცი, ძვლები, სისხლი, ტვინი და ბუმბული, მაშასადამე კვერცხი შეიცავს ყოველივე სხეულისათვის საჭირო ნაწილებს.

მეორე ადგილი უჭირავს რძეს კვერცხის, მერე ამ შემთხვევაში. მასში არის $5\frac{1}{2}$ გრ. სისხლისა, მკეთებელი, $4\frac{1}{2}$ გრ. ქონის მკეთებელი $48\frac{1}{2}$ გრ. არაორგანიული ნაწილები.

ასეთი მეცნიერების გამოძიების გარდა ჩვენ ყოველს დღე ვხედავთ, რომ რძეს მართლაც ასეთი ადგილი უჭირავს საჭმელთ შორის. ყოველი ახალ დაბადებული ცხოველი რამოდენიმე თვეს რჩება რძით და

იზრდება; მაშასადამე აძლევს ყოველი გვარი საჭირო ნაწილებს სხეულს.

ზემო მოყვანილ საჭმელებისა გარდა არიან ისეთი საჭმელები, რომელნიც ძალიან უახლოვდებიან მათ თავიანთ ნაწილებით, ანუ ნოყიერებით.

ასეთს საჭმელებს ეკუთნიან: მუხუდო, ლობიო და ცერცვიერი გამოჩენილი სწავლულის სიტყვებით მუხუდო, ცერცვი და ლობიო თავიანთ ნოყიერებით წარმოადგენენ საჭმელს რძეს. მაშასადამე მათ შეუძლიათ დააკმაყოფილონ სხეულის მოთხოვნილება.

აი რას ამბობს მეორე გამოჩენილი მეცნიერი ამავე საჭმელზე:

«რასაკვირველია, რომ სასიამოვნო იქნება კარტოფილის მაგიერათ რომ ლობიოსა და მუხუდოს ხმარებას იწყებდენ ირლანდიაში და გერმანიაში უღონისძიებო ერის გასაკვებათ, ამისთანა ცვლილება უეჭველათ გააუმჯობესებდა ერის შთამომავლობას, გაამაგრებდა ერის კეთილმდგომარეობას და უკეთეს — გონებას გაუღვიძებდა ერს თავის თავზე»

«Конечно позволительно вырозить желаніе, чтобы бобы, горохъ и чечевица витѣснили собою кортофель, занимающій почетное мѣсто въ пропитаніи неимѣющихъ классовъ Ирландіи и Германіи.

(Такого рода измѣненіе могло повестъ за собою *улучшеніе породы*, укрѣпленіе народнаго здоровыя, *и возвышеніе націонольного сомосознанія.*»)

ამ მეცნიერის სიტყვებისაგან ცხადათ სჩანს, რომ შეიძლება ხალხი რჩებოდეს ზემომოყვანილ საჭმლით და ამასთანავე იყოს იქამდის ნიჭიერი, რომ შეეძლოს განათლების მიღება.

ზემო მოყვანილ სიტყვების მერე, მგონია, შეიძლება ბოდეს მოვაგონოთ ჭრელ ფილოსოფოზებს, რომელნიც ამტკიცებენ ჩვენი ხალხის უნიჭობას ასეთი საჭმელის ხმარებასა გამო, ერთი გონიერი ანდერძისადაც ყური ჩივის ამრიგათ: «მთელი ქვეყნის სიყვარ თუ შევიქნებოდით, რომ საკვირველი ამბავები არ მესმოდეს».

მაგრამ საფიქრებელია, რომ იმ ყურებს, რომელთაც არ გაუგონია ზემო მოყვანილ მეცნიერის საკვირველი სიტყვები, თუ არა ქვეყნის სიყვართე, ათი გოჯის სიგრძე მაინც უნდა იყოს, მატრიონის დასამშვენებლად.

ყველაზე უფრო სხეულისათვის უსარგებლო საჭმელი უეჭველად კარტოფილია. მაში ყველაზე უფრო ბლომათ წყალი და ქონის მკეთებელია, ძალიან ცოტა სისხლის მკეთებელი და არა ორგანიული სრულებით არ არის.

ამისაგამო კარგს ჭკუას იზამს ჩვენი ხალხი, რომ არ მიაწვებოდეს კარტოფილის გაშენებას და ისევე ხელს მოუწყობდეს თავის ძველ ნაცნობ ლობიოს და მუხუდოს, სანამდის მათ ნაცვლად დაედგმოდეს სუფრაზე ხორცის საჭმელი.

ყველასათვის ცხადისაქმეა, რომ საჭმელი სანამდისაც დაიდგმებოდეს სუფრაზე გამოივლის სხვა და სხვა ნაირ შეცვლას, რომელიც არის აუცილებელი მოთხოვნილება კაცის სტომაქისა.

უპირველი საჭმლის შეცვლა, რომელშიაც საჭიროებს ჩვენი სტომაქი, მდგომარეობს მოხარშვაში და შეწვაში. ჩვენ რომ დავაკვირდეთ უმათ საჭმლის თვისებას შევნიშნავთ, რომ ეს სტომაქისა მოთხოვნილებაც. სრულებით კანონიერია უმათ შეჭმული საჭმელი ძნელიად თითქმის მოუხერხებელი მოსანელებელია.

მაგალითაც ავიღოთ კარტოფილი და ვნახოთ, რათ ხარჩავენ მას, სანამდის სუფრაზე დაიდგმებოდეს.

პაწაწინა კარტოფილის ნაჭერი, რომ, დაათვარიელოს კაცმა მიკროსკოპის ქვეშ, შენიშნავს, რომ ის არის შემდგარი (მრავალ პაწაწინა ბუშტებისაგან რომელთაზედ ნათლად) ორ შემდეგი ნაწილებისაგან გარეგანი მაგარი და ძნელად დასარღვევი კანისაგან და შინაარსისაგან, სახამებელის მარცვლებისაგან.

მოხარშვის დროს ეს გარეგანი მაგარი (ტყავი) კანი ირღვევა მდუღარეში და რჩება მხოლოდ შინა-არსი. ამ ნაირად შეცვლილს, (მოხარშულს) კარტოფილს სჭამს კაცი, რომელსაც მისი კუჭი ადვილად ინელებს, რადგან გარეგანი მაგარი და ძნელად დასარღვევი ტყავი დაირღვა მდუღარეში.

უმათ შეჭმული კარტოფილი უძნელებს კუჭს საქმეს დაშლის თითქმის მის აგებულობასვე ამ შემთხვევაში კუჭმა ჯერ უნდა დაარღვიოს გარეგანი მაგარი, კარტოფილის ტყავი, რომელსაც უნდა ჯაფიანი მუშაობა და მერე მოხარჩოს შინაარსი; მაშასადამე ამ შემთხვევაში კუჭს ორჯერ უფრო უძნელდება საქმე.

ამ ზემო მოყვანილ მიზეზისაგამო ხარჩვენ ხორცსაც. ვინც კარგათ იცის ხორცის საჭმელების კეთება მისთვის ცხადია, რომ კარგი წვნის გასაკეთებლად სულ სხვანაირათ უნდა მოისარჩოს ხორცი, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა უნდა კარგი საჭმელი ხორცის მიღება.

აი როგორ იქცევიან ამ შემთხვევაში.

პირველი შემთხვევაში, ე. ი. როცა უნდა კარგი წვნის მიღება, მაშინ ხორცს ყრიან ცივ წყალში და მერე ადუღებენ; მეორე შემთხვევაში კი სულ წინაღმდეგად იქცევიან, ე. ი. ხორცსაც ყრიან ცხელ წყალში.

აი როგორ ახსნა მეცნიერებამ ასეთი ხორცის მომზადების მიზეზები. ხორცში სისხლის გარდა არიან სხვა და სხვა წვნებიც, რომელთა შორის არის უფრო ბლომათ ცილთ გვარი ნივთიერება (*Бѣлковое вещество*).

ყველამ ვიცით, რომ ქათმის კვერცხი რომ ჩავსტეხოთ ცხელ წყალში, მისი ცილი მაშინათვე გათეთრდება, ე. ი. გასქელდება და შემოერტყმის გულს ისე მაგრა, რომ არ შეუძლია მას გამოდინდეს.

სწორეთ ასეთს საქმეს შვრება ცილთ გვარი ნივთიერება ხორცშიაც, როცა ხორც აგდებენ ცხელ წყალში.

ეს ცილთ გვარი ნივთიერება შემოერთმევა ცხელ წყალში ჩაგდებულ ხორცს — გარე ისე მაგრა, რომ გამოუშობს არც ერთ წვეთს წვენს, რომელიც აპოხიერებს ხორცს.

სულ წინაღმდეგ საქმე სდება წვნის გაკეთების დროს. ცივ წყალში ჩაყრილი ხორცი იბერება ნელ-ნელა წყლით, მაშასადამე მისი პოხიერი წვენი ერევა წყალს.

ბოლოს დუღილის დროს — ირღვევა ნაწეწ-ნაწეწად ეს ხორცი და მისი ქონი, და პოხიერი წვენები ერევიან მდუღარეს, რისაგამო თვითონ ხორცი რჩება რაღასათვის და ნასარჩი კი პოხიერებდა როგორც ხორცი.

სწორეთ ასეთივე აზრისა ჩვენი ხალხიც ამ საგანზე, რომელიც ამბობს თავის გონიერ ანდაზაში:

«თხის ხორცს სჯობს კალმახი, კითხვის ნახარჩიო» მე ბევრჯერ გამიგონია გაცხარებული ბაასი ამ ანდაზაზე ლაზათიან გამლომის შემდეგ, რომელშიაც სწამობდნენ ჩვენს ხალხს უაზრო ანდაზის გამოგონებას.

V.

ჩავიდებთ თუ არა ლუკმას პირში, მაშინათვე ყბები გაიგდებენ უკანა კბილებშუა და გასრესვენ წისქვილის ქვებივით.

ამასა გარდა პირში საჭმელს ერევა ნერწყვი, რომელიც ასრულებს... ორს ძალიან საქმეს: პირველად ის არბილებს საჭმელს და მითი უადვილებს გადაყლაპვას კაცს მეორედ ის აქცევს სახამებელს (крохмаль) შაქრად.

ამნაირად შეცვლილი საჭმელი მიდის საჭმლის სატანით კუჭში. ეს საჭმლის სატანი ძევს ყორყის უკან კისრის ძვლებზე; მაშასადამე ხახაში არის ორნაირ ნახვრეტი: სასული ანუ ყორყის ნახვრეტი, რომლიდანაც ჩადის ჰაერი ფილტვებში და მეორე საჭმლის სატანი რომელიც მიდის კუჭში. ეს ორი (თვალები) ისე ახლოს არიან ერთმანეთზე, რომ ძალიანი შესაძლოა ლუკმა ჩავარდეს სასულეში, რომ მის ნაპირზე, არ იყოს მიზდილი ძალის ენასავით ხტილი, რომელიც ფარავს სასულეს, ლუკმას გადაყლაპვის დროს.

ჩავარდება თუ არა კუჭში, ლუკმა ის მაშინათვე მოყობა თავის ანგარიშის სწორებას.

კუჭი საჭმელში ახდენს ბევრს შესანიშნავ ცვლილებებს.

ამ ცვლილებებს ახდენს კუჭი საჭმელში ერთნაირ წვნით, რომელსაც ეძახიან მეცნიერები «კუჭის წვენს».

ეს წვენი არის გემოთი მჟავე; მისი მოქმედება მდგომარეობს მაში, რომ ზოგიერთ საჭმლის ნაწილებს ადნობს, მაგალითად, ცილოგვარი ნივთიერებას, და ზოგიერთს კი არღვევს ნამცეც-ნამცეცათ.

ეს კუჭის წვენი (*желудочный сокъ*) ოცდა ათი წლის კაცის კუჭში გროვდება ცხრა დიდი სტაქანზე მეტი ოცდა ოთხი საათის განმავლობაში.

მაგრამ შეიძლება იკითხოს მკითხველმა: საიდამ გროვდება ასე ბლომათ ეს კუჭის წვენი?

კუჭის შინაგან ნაზ ტყავს ქვეშ არიან მრავალ პაწაწინა ჯირკვლები (*скелески*), რომელთაც შორდება მუდამ კუჭის წვენი დაერევა საჭმელს კუჭში. ამ წვნის ზედმოქმედობით საჭმლის ნაწილები დნებიან დაირღვევიან კუჭში იქამდის, რომ ბოლოს მთელი საჭმელი და ემგვანება თხელ ქაშის. მისი დასამტკიცებლად, რომ კუჭის წვენს აქვს ასეთი მოქმედება საჭმელზე, მეცნიერმა მოახთინეს ამაზე ამგვარი გამოცდა: გააკეთეს პაწაწინა ვერცხლის კოლოფი, რომელსაც ქონდა გვერდები დახვრეტილი, როგორც საცერს; ეს კოლოფი გაავსეს საჭმლით და გადააყლაპვიეს ძაღლს; ორ ანუ სამ საათის შემდეგ ამოათრიეს ეს კოლოფი მავით. ძაღლის კუჭიდამ და ნახეს, რომ მაში არც ერთი საჭმლის ნამცეცი არ დარჩენილ იყო.

აქიდამ გამოიყვანეს, რომ კუჭის წვენი შედინდა კოლოფში, სადაც დაადნო და დარღვია საჭმელი, რომელიც, რასაკვირველია გათხელებული, გამოდინდა კოლოფიდამ.

მაშასადამე უმთავრესი ოსტატი კუჭში საჭმლის მონელების დროს არის კუჭის წვენი.

ამ ნაირად შეცვლილი საჭმელი გადადის მაშინათვე იმ წელში, რომელიც პირდაპირ აბია კუჭს და რომელსაც თავის სიგრძისაგამო ეძახიან თორმეტმეტ (გოჯიან) წელს (*Двѣнадцатиперстная кишка*)

ამ თორმეტს (გოჯიან) წელში ერევიან საჭმელის ნაღველი და ერთნაირი წვენი, რომელიც შორდება ამ წელს ქვეშ მდებარე ზორბა ჯირკვალს (*Поджелудочная железа*). ეს ორივე შერეული წვნები ახდენენ დანარჩენ ცვლილებას საჭმელში.

მეცნიერების გამოძიებით ნაღვლის დანიშნულება ორ გვარია: პირველად ის იცავს საჭმელს წელებში დალპობისაგან და მეორედ ეხმარება ქონს სისხლში გადასვლას.

გამოცადეს ამ აზრის დასამტკიცებლათ მეცნიერებმა ეს საქმე ამ ნაირად.

ძაღლს გაუჭრეს ღვიძლთან მკერდი და აგრეთვე ნაღვლის ბუშთი, რომელსაც მისცეს მილი ისე, რომ ნაღველი გამოდიოდა გარე მილიდამ და არა წელებში. ამ შემთხვევაში მათ შენიშნეს ძაღლის ცხოვრებაში შემდეგი: ძაღლმა იცოცხლა რამოდენიმე ხანს მაგრამ, ძალიან დამჭლევდა თუმცა აუარებელ საჭმელს სჭამდა; ამისგარდა ძაღლს ამოდიოდა პირიდამ საშინელი დამპალი სული და აგრეთვე მის განავალს უდიოდა ისე მყრალი სუნი, რომ კაცი ვერ მიეკარებოდა ახლოს.

აქედამ ცხადათ სჩანს, რომ ნაღველი ასრულებს მართლაც იმ ორ ზემოხსენებულ დანიშნულებას.

როგორც იცის მკითხველმა ნაღვლის ბუშტი აბია ღვიძლს. ახლანდელი მეცნიერების გამოძიებით გამოდგა, რომ ნაღველი კეთდება ღვიძლში: მაშასადამე ღვიძლიც ეხმარება კუჭს და წელებს საჭმლის მონელებაში, ამისა გამო ის ეკუთნის, როგორც პირი, კუჭი და წელები საჭმლის მომნელებელ ორგანებს. ნაღვლის მომზადების გარდა ღვიძლი ასრულებს კიდევ სხვა რამსაქმეს—სხეულისთვის ის, როგორც ყარაული დაყენებულია გზაზე და არ უშვებს სხეულისთვის მავნებელი სისხლს ფილტვებში.

ყოველ გვარ სხეულისთვის მავნებელ სისხლს არღობს ღვიძლი და არ უშვებს იქიდამ. მაგალითად, ყველამ ვიცით, რომ როცა გველი უკბენს კაცს მაშინ ის სივდება, ე. ი. უხშება სისხლი და კვდება, თუ დროზე არ უსწრო იმ წამალმა.

მაგრამ იგივე გველის შხამი რომ გადაჭყლაპოს კაცმა სრულებითაც არ აწყენს.

ასეთი გასაკვირველი საქმე ახსნა მეცნიერებამ ამ გვარად: გადაყლაპული შხამი მიდის კუჭში, აქედამ წელებში და წელებიდამ სისხლიან გადადის ღვიძლში, სადაც ის კარგავს თავის მომწამლავ თვისებას.

ამისგამო ცხადია, რომ გველის ნაკბენის პირველი და იაფი წამალი მდგომარეობს მაში, რომ მაშინათვე ამოწოვოს შხამი ნაკბენიდამ თუ პირის შინა კანი არა აქვს სადმე გაფხაჭული.

თორმეტ (გოჯიან) წელიდამ საჭმელი გადადის, წელებში; აქაც ერევა მას სხვა და სხვა წვენები რომელნიც სრულებით არღვევენ საჭმელს და აქცევენ რძის წვნად. ამ რძის წვენს სწოვენ პაწაწინა მათივით ბინბილები, რომელნიც არიან წელების შინა ნაზ ტყავზე მიბმული ამნაირად შესმული რძის წვენი გადადის რძის მილებით ღვიძლში, სადაც როგორც იყო ნათქვამი იწმინდება და გადადის ფილტვებში. აქ მას ემატება ჰაერთავა ჰაერიდამ და მიდის გულში საიდანაც გაემგზავრება მთელ სხეულში.

ამ ნაირად თორმეტ გოჯით წელიდამ დაწყებული უკანასკნელი წელამდის ყოველი გვარი ნოყიერი საჭმელის ნაწილები, რძის წვნად გადაქცეულნი, გადადიან რძე წვენა ჭურჭლებით ხოლო ღვიძლში უსარგებლო და მოუნელებელი, ნაწილები გადიან კარში მიწის სასუქებლათ.

1871 ოდეს. დ. ჩქოტუა

# წერილები აბრეშუმის მოყვანაზე.

ამ უკანასკნელს დროს ყველანი ჩივიან, რომ ჩვენში აბრეშუმის მოყვანამ წარმატების მაგიერათ ძალიან იკლოვა, თუმცა მთავრობამ ბევრი წამაქეზებელი წესდებულება გამოსცა მის გასაუმჯობესებლათ. აბრეშუმის მოყვანისათვის მზრუნველმა მოსკოვის კამიტეტმა მიანდო მასლოვს სამხრეთ რუსეთში წასვლა, რომ შეეტყო რა მიზეზია რომ ამ ბოლოს დროს აბრეშუმის მოყვანაზე ადარავინ ზრუნავს და ეს ხელობა თან და თან უარესდება. მასლოვი მართლაც წავიდა სამხრეთის გუბერნიებისაკენ, სხვათა შორის იყო კიევში და ოდესაშიაც და წარუდგინა კომიტეტს თავისი წერილები. იქიდგან ცხადათ გამოსჭტა ეგ. მასლოვმა ის აზრი, რომ აბრეშუმის მოყვანა მართლაც თან-და-თან უკან მიდის და ახლანდელს გარემოებაში რომ დაცემული იყოს არც არის გასაკვირველი.

* * *

მთავრობას წარსულ საუკუნიდგან დაწყებული აქამომდე ნიადაგ ცდილობდა რითიმე გაედვიძებინა სამხრეთ რუსეთის მცხოვრებლებში აბრეშუმის მოყვანის სურვილი, ვინც აბრეშუმის ჭიას ზრდიდა, იმას დააჯილდოებდა ფულით, მენდლებით, თუთის ხეების გამრავლებისთვის ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდა ადგილობრივს მთავრობას განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული ამ საგანზე, მართალია თუთის ხეები მართლაც ძალიან ბევრი დარგა მთელი სამხრეთის რუსეთი სულ თუთის ხეებით არიან მოფენილი, მაგრამ აბრეშუმის მოყვანას გაუმჯობესობას მაინც არა გაეწყორა.

* * *

რადესაც ახლოს განიხილა მასლოვმა, თუ რა მიზეზია აბრეშუმის მოყვანა რომ ასე დაცემულია, ცხადათ ნახა რომ უმთავრესი მიზეზი თურმე უცოდნელობა ყოფილა. ძვირათ მოიპოვება იმისთანა კაცი, რომელმაც იცოდეს ჭიის მოვლა და აბრეშუმის ხელობა. ამისთვის მასლოვი ურჩევს ყოველს სასწავლებელში ქალისა და კაცისაში ასწავლონ აბრეშუმის მოყვანა როგორ უნდა, ან როგორ უნდა თუთის ხეების გაშენება.

* * *

ამ რჩევის განსახილველათ დანიშნეს კამისია და იმან დააწესა აბრეშუმის მოყვანის გასავრცელებლათ შემდეგ დაწესებულება.

1, უნდა გამართონ მიწერ მოწერა და ერთი ერთობრივი მოქმედება სამეურნეო საზოგადოებებთან, რომელნიცა იმყოფებიან რიაზანში, კალუგაში, სმოლენსკში და სხვ. უნდა უდჩიონ იმათ, რომ გააშენონ თუთის ხეები ქალაქის ბაღებში და ყველგან სადაც ჯაგებს ან ხეებს აშენებენ. ამითი ყველანი ახლოს გაიცნობენ თუთის ხეებს.

2, უნდა გამართონ მიწერ-მოწერა ახალგაზდობა მოსწავლეთა მზრუნველებთან, რომელნიც იმყოფებიან ხარკოვის, კიევის და ოდესის გუბერნიებში იმათაც შეუწყონ ხელი სასწავლებლების ბაღეში თუთის გაშენებასა.

3, აგრეთვე გამართონ მიწერ-მოწერა ქალაქების სასწავლებლების უფროსებთან.

4, თავის დროზე დარიგებითი წიგნების შედგენაც საჭირო იქნება. აგრეთვე ჯილდოებიც მიეცემათ იმათ რომელნიც მოიგონებენ აბრეშუმის ხელობის გასაუმჯობესებლათ.

* * *

რაც ზემოთ ითქვა, იქიდგან ცხადათ სჩანს, რომ რუსეთში ჯერ თითქმის სულ არ არის გავრცელებული აბრეშუმის ხელობის მეცნიერება. გონიერი ცოდნის გასავრცელებლათ ხალხში აბრეშუმის მოხელობაზე ყველას ემჯობინება წიგნების და დარიგების გავრცელება ამ საგანზე. ამ შემთხვევაში არ შეგვიძლიან მკითხველის ყურადღება არ მივაქციოთ ჩიჟოვის თხზულებაზე, რომელსაც ჰქვია წერილები აბრეშუმზე.

* * *

აქ მოკლეთ გადმოვწერთ ამ თხზულების შინაარს სულ ოცდა სამი წერილია: 1, აბრეშუმის ხელობაზე. 2, აბრეშუმის ხე და იმისი ზრდა. 3, თუთა, იმის გაშენება და მოვლა. 4, აბრეშუმის ჭიის ცხოვრება ბუნებითად. 5, გარეგანი მოყვანილობა აბრეშუმის ჭიისა, შინაგანი იმის აგებულობა, ჩვეულება და ხასიათი. 6, პარკი 7, აბრეშუმის პეპელა. 8, კაცის ხელით გაზრდა აბრეშუმის ჭიისა და იმისი კვება. 9, ჭიის საკვები სახლი: როგორ უნდა მოირთოს, რომ შიგ მუდამ სისუფთავე და წმინდა ჰაერი იყოს. რამდენი მუშა უნდება აბრეშუმის ჭიის კვებას. 10, პარკების საკეთებელ ცოცხების მომართვა, პარკების შეკრება, იმათი დაყოფვა რიგ-რიგათ. მათი გამოხარშვა და სათესლეთ დარჩენა. 11 აბრეშუმის ამოხვევა და ამ მუშაობის გამოანგარიშება. 12 აბრეშუმის მოყვანის გაყოფა ორ ნაწილათ: ჭიის ზრდა და აბრეშუმის ამოღება; ერთი მეორეზე დამოკიდებულება. მარტო აბრეშუმის ამოხვევა რომ დაიწყოს კაცმა, სასარგებლო არ არის, თუ თითონ აბრეშუმის კეთება იმის ხელში არ არის ვინც აბრეშუმას მაივს აკეთებს.

13, რამდენი მცენარეობა აქვს აბრეშუმის ხეს. 14, რომელ ცივ ქვეყანამდის უწევს იმის მოყვანა. 15 თუ როგორ მიწაზე ხარობს.—და სხვა. 16 რამდენათ სასარგებლოა აბრეშუმის კეთება, აბრეშუმის მოყვანის შედარება სხვა მეურნეობის ხელობასთან მუხლ. ჭარხლის შაქრის კეთებასთან, ტამბაქოს, ან თელის კეთებასთან. 17 სადამდი შეუძლიან მიაღწიოს აბრეშუმის ხელობამ. 18 აბრეშუმის მოხელობის თან-და-თან წყნარათათ წარმატება. 19 რა საშუალებით შეიძლება გადიდდეს აბრეშუმის ხელობა და როგორის გზით შეიძლება იმის დაჩქარება. 20. აბრეშუმის კეთების ისტორია თავიდგან მოკიდებული ევროპაში გადმოტანამდის. 21, აბრეშუმის კეთების ისტორია ევროპაში.

# ფრანცუზული გლეხების ცხოვრება

## წარსულ საუკუნეში

საფრანგეთში ერთს ტყიან ადაგას, რომლის მახლობლათ უშველებელი მდინარე რეინი ჩადიოდა, ამ ასი წლის წინათ ცხოვრებდნენ შავის მიწის ლესი, მენახშირეები და მეტივეები. მომეტებული ნაწილი იმათგანი ხასატონოები იყვნენ და სხვისა ვის მუშაობდნენ. ისინი სჭრიდნენ ხეებს, ხდგმიდნენ შეშის ხორას, აკეთებდნენ ძელებს და მიაქონდათ მდინარით გოლლანდიაში, სადაც ყიდულობდნენ ვაჭრები. იმავე დროს ამ ადაგებში იყო გამართული სამი მონასტერი. ამ მონასტრის ბერები დადიოდნენ ყოველგან ასლო-მახლო სოფლებში, და ლოცვა კურთხევით ერთი ოჯახიდგან მეორე ოჯახში გადადიოდნენ და იცოდნენ, როგორ გამოეტყუებინათ ადგილობრივს გლეხის მცხოვრებლებისთვის პური, ერბო და კვერცხები. როცა დაბრუნდებოდნენ უკან მონასტერში იმათი ვირები იმდენათ დატვირთულები მიჰყავდათ, რომ მთის ბილიკებზე ძლივს გაატარებდნენ თავისს ჯორებს.

ამ არე-მარის გლეხები ცხოვრებდნენ საშინლათ ღარიბათ ყველანი გაღარტაკებულნი იყვნენ. სახელმწიფო გადასახადით და ბეგრებით ყელამდის იყვნენ გავსილნი, ზურგს აწვათ აუტანელი ჯაფა წელში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტალახში და თოვლში. თითქმის წლითი-წლობამდის სულ ამისთანა უბედურს ცხოვრებას ატარებდნენ. იმათი ტანისამოსი ნაბდის ქუდი და ხადაგის პერანგი იყო. ფეხსაცმელს ჩაიცვამდენ მხოლოდ კვირაობით, როცა მახლობელს მონასტერში წავიდოდენ წირვის მოსასმენათ. როცა წირვა გამოვიდოდა, მონასტრის ღვდელი მოჰყვებოდა ქადაგებას და არიგებდა, რომ ისინი ყოფილიყვნენ გულმშვიდნი, თავდახრით ემორჩილებოდენ თავის ბედს, რომ არ ყოფილიყონ, თვალ ხარბნი, გაუმაძღარნი და ზარმაცნი. თუ რომლიმე ქალს დაუნახავდა ახალს კაბას, ან წითელს ლენტს, მღვდელი უფრო აენთებოდა და ჰკიცხავდა მაყურებლებს შეუფერებელ მდიდრულათ ცხოვრებისათვის. გლეხები წირვის შემდეგ მწუხარენი დაბრუნდებოდენ შინ და გულში ცდილობდენ დანაშაულობის შეგნობას და ისე ცხოვრებას, როგორც მღვდლები იმათ ურჩევდათ. იმათ სახლები სწორეთ ნადირის ხვრელებს ემგზავსებოდა. შინ სახლი ორათ იყო გაყოფილი. ერთკენ თვითონ ცხოვრებდენ და მეორეკენ საქონელს აბამდენ, ქათმები ყავრულს ქვეშ ბუდობდენ.

ამ გლეხობაში სხვაზე უფრო ბედნიერათ ცხოვრებდა ერთი გლეხი სიმონა. ყოველ დილაობით ორშაფათიდგან დაწყებული შაფათამდის სიმონა მიდიოდა ტყეში და იქ სჭრიდა შეშას. ტყეში კარავი ჰქონდა დადგმული და შაფათ საღამომდის შინ არ მოვიდოდა.

იმ კარავში ჰქონდა შენახული ცული, წალდი, ნაჯახი და სხვ. აგრეთვე თავის ერთი კვირის საგზალი პური, მარილი, რამდენიმე თავი ხახვი და ცოტა ერბო. სიმონა ყველაზე ადრე იწყებდა მუშაობას და ყველაზე გვიანაც გაათავებდა, ამიტომ იმას სხვაზე მეტი ჯამაგირი ჰქონდა—დღეში ერთი მაური.

შაფათს საღამოს ის დაბრუნდებოდა შინ შეშა დატვირთული. იმის მოსვლა შინ ყველას უხარია, ცოლი წინ მიეგებება. შვილები შემოეხვევიან, ზოგი ხელზე ეჭიდება, ზოგი ფეხებზე, მოხუცებული მამა ღიმილით ეუბნება, შვილო დღეს ეგრე რათ დაიგვიანეო; სიმონას დაღალულობით სიტყვის თქმა არ შეუძლია და რაკი შეშის ტვირთს კუთხეში მიაჰყუდებს, მოვა კერასთან დაჯდება და შინაობაში გაიმართება ვახშამი.

დადგა ცუდი მოსავლის წლები, სიმონას სახლობას თან და თან უფრო უჭირდა საქმე. სიმონ უწინდელსავით მოუსვენრათ მუშაობდა, მაგრამ მაინც არა ეშველა რა, შინ რომ ბრუნდებოდა, თავის შინაურობაში ჰხედავდა, რომ თან და თან უფრო ხდებოდენ და მჭლევდებოდენ. სიმონას მოხუცებული მამა თან და თან უფრო ჯავრობდა და ასე იწყებდა ლაპარაკს.

«ღმერთმან იცის ის პირები, რომელნიც თავის ეკვნიან ვირებით დადიან ამ სოფლებში, და სარჯის მრთმევლები ახალ ტყეში შესულს თხებსა ჰგვანან... ეგენი ყველაფერს აფუჭებენ, ღუპავენ, განს აცლიან, ფოთლებს ულაპვენ, და თითქმის ახალ ამოსულებსაც ძირიანა სთხრიან, სწორეთ ქვეყანას ეგენი აგდებენ. სასელმწიფო ხარჯის გადასახდელათ მგონია, მიწებაც უნდა გავყიდოთ ამ ბოლოს დროს აკ, ასე ცხოვრება დიდხანს არ შეიძლება.

ერთხელ სიმონა თავის სახლობით გავიდა ყანის სამკელათ. შინ მარტო მისი მოხუცებული მამა დარჩა. საღამო ხანი იყო, უცბათ სიმონას მამას მოესმა მოსარჯის ხმა; «ეი, მმობილო არ დაგავიწყდეს ეხლავ ათის თავი უნდა მოვკრიფო.

როცა დაღამდა, სიმონაც გაჩნდა იმას კაცის ფერი არ ედვა სახეზე, გაყვითლებული იყო, თითქოს სამარიდგან ეხლა ამოუღიათო.

— შვილო, რა დაგემართა-ჰკითხა მამამ შეკრთომით—ცუდი ხომ არა ფერი მოგვსვლიაო.

— გვეწია გამოუთქმელი უბედურება, დღიურ-ფასი მაურის მაგიერათ ოთხ კაპეიკ ნახევრათ გაგვიხადეს. ზვალიდგან დაწყებული სულ ოთხ კაპეიკ ნახევარი გვექნება. ვინც კმაყოფილი არ არის, სადაც უნდა იქ წავიდესო.

ამ დროს მთელი სახლობა მოვიდა ყანიდგან და ყველამ ერთიანათ შექნა ყიჟინ-ხვივილი: რა ვქნათ რითღა ვიცხოვროთო, ცოცხლათ თუ ჩავწვებით სამარეში. თორემ მეტი გზა არა გვაქვსო. ჩვენს ბატონს ვერხსალის ქალაქში ახალი ვალები აქვს და ასე.. იმის გადასახდელათ ჩვენ დღიური ლუკმა უნდა მოვიკლოთო .... გულ ნაღვლიანათ ამბობდა სიმონა..

(შემდეგი იქნება).

---

«ბიბლიოგრაფიული»

ცნობა

წერილები

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების, *записки Кавказскаго общества сельскаго хозяис (тва)* რომლისაც პირველი ნომერი გამოვიდა და იმის შინაარსი აი ეს არის.

II მეურნეობა და მის თანა შემწე მეცნიერებანი:

რამდენიმე სიტყვა საქონლის ჭირის გაჩენის მიზეზებზედ თერგის მაზრაში და საშუალობათა ზედა, რომლითაც იგი მოისპობა.— მაქსიმოვიჩისა.

III განხილვა სამეურნეო სამახელო ჟურნალებისა.

ბაასი პეტერბურგის პოლიტიკო—ეკონომიურს კომიტეტებში ამხანაგობითი გლეხების მუშაობაზე ტყისა და ჯაგების ხელობისთვის,—გაუმჯობესობა ყოველგვარი ხორბლისა საუკეთესო თესლების ერთმანეთზე დართვით. ნადებ ქერში და შვრიაში შმორის სუნის გაცლა. სხვა და სხვა ერების წარმომადგენელ მეაბრეშუმეების ყრილობა გირცში.—აბრეშუმის ჭიების კვება სხვა და სხვა ფოთლებით, რომელიც უფ. პასტერმა შინჯა 1870 და იმასი აზრი ამ საგანზე.—წყლის მებნა სტავროპოლის უწყლო მინდვრებზე-იაფი სახურავები (ბანები). დაბანგება ფუტკრებისა.- ფრინველების მოვარველობა რეიტლინგეტში. —იდაურების ჭუკების და სხვა შინაური ფრინველების წამლობა.—საკვირველი შემთხვევა დირხვების ჭერისა.—სპირტის კეთება ომის ხავსისგან;—პროფესორის ტონბერგის გამოძიება ამ საგანზე და პროფესორის ილინის აზრი იმავე საგანზე.—1872 წელს რომ პოლიტიკო ეკონომიური გამოფენა იქნება მოსკოვში, იმ საგანზე რამდენიმე სიტყვა.—ახლანდელი პრუსს-ფრანცუზული ომიანობის გავლენა ნედერს მოხელობაზე.—უფ. ტატარინოვის წუებს პეტერბურგის მებაღეთ საზოგადოებას, ტროპიკულს ქვეყნებში თავის წასვლაზე.

IV ნარევი

— თერგის მაზრაში რომ საქონლის ჭირი იყო 1870 წელს იმის შესახებ ანგარიში მაქსიმოვიჩისა.

— ქ. ვლადიკავკაზის მოხელობა, იუდინისა.

— პიატიგორსკის მჟავე წყლებზე საუბარი შესახებ-დეიჩმანისა.

უწყება ქ. ვლადიკავკაზში რომ იარმუკაა, იმისა.

IIV განცხადებანი

რუსეთის-ცხოველთ მოვარველ საზოგადოების გამგეობისაგან.-პირობანი, რომლითაც მოიპოვებიან ხბოები უფ. ვილკსინის ჯოგიდგან.-ორთქლის გუთნებზე.

მიმატება

თესლების სია, რომელიც ისყიდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დეპოში 1871 წელს.

*Дозволено цензурою, Тифлисъ, 30 мая 1871 г.* ღუელირის. (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბა. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.